მუშის განთავისუფლება თვით მუშის საქმეა.

ცალკე № 3 კ.

ძალა, რომელიც ანგრევს ავტორიტეტს ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას.

# მუშა

| | 1 წ. | 6 თ. | | 3 თ. | | 1 თ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მ. | მ. | კ. | მ. | კ. | მ. | კ. |
| თბილისში. | 5 | 2 | 50 | 1 | 25 | — | 50 |
| თბილ. გარ. | 6 | 3 | — | 2 | 50 | — | 60 |
| საზღ. გარ. | 10 | 5 | — | 3 | — | 1 | — |

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10 ს.—2 ს.; საღამოს 5 ს.—7 საათ.

ა დ რ ე ს ი: თავად-აზნაურობის სახლი, სასახლის ქ. № 117.

№ 18 — სამშაბათი 27 ივნისი 1906 წ. თბილისი — № 18

შ ი ნ ა ა რ ს ი:

1) მეორე პასუხი მუშებს. 2) ფელეტონი: ზეციერი მთავრობა და მისი კანონმდებლობა. 3) ახალი ამბავი. 4) რუსეთის ქრონიკა. 5) უცხოეთი. 6) დეპეშა.

## ადრესის გამოცვლა

ჩვენი აგენტებისა, მკითხველებისა და ხელის მომწერთა საყურადღებოთ.

ამ დღიდან ადმინისტრაცია „ნობათისა“ გადადის გაზეთ „მუშის“ ადმინისტრატორის ხელში. ამისათვის ყოველგვარი წერილები და ფული იქვე უნდა იქნას მიმართული. ჩვენ აგენტებსა ვსთოვთ ანგარიშიც „მუშის“ ადმინისტრაციას გაუწიოს. ყოველ წერილზე და აგრეთვე ფულიან კონვერტებზე, თუ ფულის გამოგზავნის უწყებებზე მკაფიოდ უნდა იქმნას აღნიშნული: „ნობათისათვის“.

**„მუშის“ რედაქციის ადრესი, რომელიც ამიერიდან „ნობათის“ ადრესიცაა.**

---

### 2. პასუხი მუშებს.

(დასასრული) *).

თქვენ წინამძღოლებს რომ ჰკითხოთ,—ისინი მიტომ გიქადაგებენ სოციალიზმის მაგივრად დემოკრატიზმს, (პროგრამმა მინიმუმს), რომ დღეს შეუძლებელია განხორციელება სოციალიზმისა,—დღეს მხოლოდ დემოკრატიული სახელმწიფოს დაარსება შესაძლებელიაო. სოციალიზმის განხორციელება კი შეგეძლებათ მაშინ, როდესაც სრული პოლიტიკური თავისუფლება გექნებათ. იმიტომ უნდა შეაკლათ თავი, მათი აზრით, თვითმპყრობელობასა და ბატონ-ყმობის ნაშთებს, და ჯერ-ჯერობით ამოუდგეთ მხარში რევოლიუციონურ ბურჟუაზიას.

მაგრამ ჩვენის აზრით ეს დიდად შემცდარი აზრია.

გვეუბნებიან, ხალხი არ არის ჯერ მომზადებული სოციალიზმისთვისაო. მაგრამ რა არის სოციალიზმი?—საწარმოო საშუალებათა საზოგადო მფლობელობა, თავისუფალ მშრომელთა მიერ მოწყობა წარმოებისა, ამხანაგურად და თავისუფლად,—ისე, რომ აღარც პოლიციელი და მსაჯული, აღარც მღვდელი და მემამულე, აღარც კაპიტალისტი და სახელმწიფო აღარ გაწუხებდესთ.

დაუფიქრდით,—არა ხართ მომზადებული იმისათვის, რომ ამგვარად მოაწყოთ თქვენი საქმე? გადაავლეთ თვალი თანამედროვე უზარ-მაზარ წარმოებას,—სოფელში და ქალაქში,—თუ გიწევთ რამე დახმარებას, რომელიმე პატარა საქმეშიდაც ან „გოროდოვოი“, ან მღვდელი, ან კაპიტალისტი, ან მემამულე? აბა იანგარიშეთ, ვის მიერ არის ნაწარმოები ყოველივე სიმდიდრე, რომლითაც სავსეა მთელი ქვეყანა? თქვენგან და მხოლოდ თქვენგან,—და სწორედ თქვენა კვდებით შიმშილით, თქვენა გცივათ ზამთარში, თქვენ გაკლიათ განათლება და სწავლა,—მაშინ როდესაც მხოლოდ თქვენ ამზადებთ სასმელ-საჭმელს, ტანისამოსს, მაშინებს, თქვენ აშენებთ სახლებს და უნივერსიტეტებს, თქვენ აკეთებთ ყოველივე საჭირო საგანს, რომელიც აუცილებელია ცხოვრების ყოველივე დარგში მოსახმარებლად. ბურჟუა, მღვდელი, მემამულე, კაპიტალისტი, გოროდოვოი და ღენერალი, მსაჯული და შპიონი კი არაფერს არ აკეთებენ—და არც იციან არაფრის გაკეთება.—მათი ხელიდან ხალხის ძარცვა-გლეჯისა, ქურდობა-ავაზაკობისა და კაცის კვლის მეტი არა გამოდის რა. აბა თქვენვე სთქვით,—რა გახსოვსთ მათგან წამებისა და ძარცვის მეტი?

თქვენი წინამძღოლნი კი მიდიან და გეუბნებიან,—თუ ჯერ კიდევ რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში არ დარჩენ ყველა ესენი,—თქვენი თავისუფლება არ შეიძლებაო!

არა, მუშებო! ამგვარი საბუთებით თქვენ არ უნდა მოსტყუვდეთ. საქმე იმაში კი არ არის, რომ თქვენ მზად არა ხართ, არამედ იმაშია, რომ თავის დღეში არც იქნებით და ვერც იქნებით მზად, ვერ იქმნებით თავისუფალი, სანამ არ განთავისუფლდებითო ზემოხსენებულ მუქთა ხორათაგან. ის პოლიტიკური თავისუფლება, რომელსაც გპირდებიან დემოკრატიული რესპუბლიკით, სრული სიცრუეა, თუ ჯერ ეკონომიურად არ განთავისუფლდით და ეს ეკონომიური თავისუფლება არ დაუდევით საფუძვლად თქვენ პოლიტიკურ თავისუფლებას.

და. ეს თქვენ შეგიძლიანთ, რადგანაც მწარმოებელნი თქვენა ხართ, თქვენ იცით წარმოება, წარმოების ყველა საიდუმლოებანი, თქვენ და მხოლოდ თქვენ შეგიძლიანთ მისი მოწყობაც.

და ეხლა, ამ კარზედ მომდგარი რევოლიუციით უნდა ისარგებლოთ, რომ აღასრულოთ ეს დიდი საქმე, თუ გინდათ ნამდვილი თავისუფლების მოპოვება, თუ მართლა სოციალისტები ხართ და მიისწრაფვით ამ დიადი და წარმტაცი იდეალისაკენ.

აბა გაიყვანეთ ყველა ჩვენი გუბერნატორები, ღენერლები, მემამულეები, ადვოკატები და ბანკირები ყანაში, თუ მათ რამე გაეგებოდესთ ან ხვნა-თესვაში, ან მკაში, ან ბაღისა და ვენახის გაშენებაში? აბა შეიყვანეთ ყველა ესენი და ყველა გაბერილი ბურჟუები სახელოსნოში, ქარხანაში და ფაბრიკაში, თუ უბრალო ვინტიც მოუნახონ მანქანას, ან ბორბალი დაატრიალონ? აბა გასინჯეთ, თუ მათ წარმოებისა ესმისთ რამე?—მაშ რად გინდათ ამათი შენახვა, და შენახვა კიდევ არაფერი,—მათთვის მთელი რევოლიუციის მოხდენა და საჩუქრად მირთმევა, შემდეგ მათი რჩენა მთელი საუკუნოებით მხოლოდ იმიტომ რომ ისევ გაწამონ, ისევ გტანჯონ და გამოგტაცონ ხელიდან თქვენი ნაწვავ-ნადაგი, უკანასკნელი ლუკმა.—ის არის თქვენი მიზანი?—დაუკვირდით,—ამას გეუბნებათ თქვენი პროგრამმა მინიმუმი!

შეიძლება მიტომ გეუბნებიან,—დღეს ვერ მიაღწევ ნამდვილ თავისუფლებასო, რომ ბრძოლა ძნელია, რომ მთელი ბურჟუაზია თქვენ წინაალმდეგ იქნება?—სწორედ აქ არ უნდა მოსტყუვდეთ. რევოლიუცია მხოლოდ თქვენი დაწყებულია, თქვენვე უნდა დაამთავროთ,—მასში ბურჟუაზიას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია და არც მიიღებს. მათი სიმხდალე ძლიერ კარგად არის ცნობილი. ბურჟუაზიამ მხოლოდ რევოლიუციით სარგებლობა იცის სხვისი სისხლით ბატონობის მოხვეჭა.—ვისა ჰხოცავდენ ქუჩებში, ვისი სახლ-კარი აიკლეს ვისი ცოლშვილი ააწიოკეს და გააუპატიურეს,—ვინ იბრძოდა თავისუფლებისათვის? თქვენ თუ ბურჟუები?—თქვენ, მხოლოდ თქვენ იბრძოდით და შექენით რევოლიუციის ზღვა, მხოლოდ თქვენი სისხლი დაიღვარა და ნამუსი შეილახა ვერაგ მტარვალთაგან, და რევოლიუციის შემდეგ მათი შენახვა—სამარცხვინო იქნებოდა მუშათა კლასსებისათვის, თვით რევოლიუციისათვის!

თქვენი გამარჯვება, იცით რას ნიშნავს, მუშებო?—იმას რომ გამარჯვების წამში დამარცხებულია თვითპყრობელობაცა და ბურჟუაზიაც, უარ-ყოფილია სახელმწიფო და კერძო საკუთრებაც და თუ იმდენ შემოქმედებით ძალსა და ნიჭს გამოიჩენთ იმ წამში, რომ თავის დღეში აღარ ააშენოთ თქვენგანვე უკვე დანგრეული საზიზღარი, წეს-წყობილება, რომ სულ სხვა, ახალი თავისუფალი, კომმინისტიური წყობილება დაამყაროთ,—მაშინ რევოლიუცია ნაყოფიერი, შინაარსიანი, სრული გამარჯვებული იქნება, თუ კი ისევ ისე დასტოვეთ ძველი, ისევ ააშენეთ დანგრეული მონობა, ბურჟუაზია! გაღაეცით თქვენი გამარჯვების ნაყოფი, სახელმწიფო და კაპიტალიზმი ისევ დასტოვეთ,—მაშინ თქვენვე მალე დაინახავთ, რომ თქვენმა რევოლიუციამ არაფერი არ მოგიტანათ, ფარდა მეორე ფორმის მონობისა, მაგრამ მაინც აუტანელი მონობისა.

პროგრამმა მინიმუმი ამ უკანასკნელს გირჩევს, ჩვენ ანარქისტები კი მუდამ გეუბნებოდით და გეტყვით,—ისარგებლე გამარჯვების წამით, ნუღარ დაუბრუნდები წარსულს, დააქციე მთელი ძველი მონური წეს-წყობილება, ააშენე ახალი!

გამარჯვების წამში ამის დამშლელი არავინ გეყოლება. ხოლო თუ ისევ სახელმწიფოსა, ბურჟუაზიასა და თუ გინდ ს. დ—იულ პარლამენტს მიანდეთ საქმე ბრძოლით დაღლილებმა რევოლიუციის ყველაზედ უფრო მნიშვნელოვან წამში,—მაშინ დაჰკარგეთ ყოველივე იმედი,—ექსპლოატაცია და მათრახის ცემა ისევ ძველებურად გაგანადგურებსთ, მხოლოდ ახალი სახელით,—რესპუბლიკის სახელით!

არ მოგატყუონ შემდეგი სიტყვებით: პოლიტიკური თავისუფლება კარგია; იგი ნიშნავს სიტყვისა, ბეჭდვისა, კავშირისა და სინიდისის თა-

*) იხ. გაზ. „მუშა“, № 12.

ვისუფლებას, ხალხის წარმომადგენელთა მთავრობასო და სხვა. არ მოგატყუონ ამით,—რადგანაც ყოველივე ეს შენთვის არც 17 ოქტომბრის მანიფესტსა და არც ბურჟუაზიას არ მოუცია. ეს თქვენი მოპოვებულია, თქვენი სისხლით, და როდესაც კიდევ დაღვრით უმანკო სისხლს, ეცადეთ ამ ტანჯვისა და განადგურების ფასი სრულ ეკონომიურ და პოლიტიკურ თავისუფლების მოპოვებაში აიღოთ!

დღეს ბურჟუაზიას ეს პოლიტიკური თავისუფლება უნდა, მაგრამ ერთი პირობით,—არ შეეხოთ მის ბატონობას, მის სიმდიდრეს, მუშის მონობის სისტემას; თქვენ კი, როგორც თვითმპყრობელობას გამოგლიჯეთ წვრილი თავისუფლებანი,—ისე გამოგლიჯეთ ბურჟუაზიასაც და ყველას სრული თავისუფლება, სრული ერთობა, და თავისუფალი კომმუნიზმის სული გააძეფეთ მთელი ტანჯული კაცობრიობისათვის!—ეს იქმნება ნამდვილი რევოლიუცია! ცდა ამგვარი რევოლიუციისა რუსეთში და სხვა ქვეყნებშიაც გამოიწვევს ამგვარსავე ცდას, და საშინელი ტალღები სოციალური რევოლიუციისა თვალუწვდენელი მთების სიმძიმით შეეტყორცნება მთელ თანამედროვე მავ-ბნელი ცხოვრების უზარ-მაზარი, ბინძურ შენობას, და წარღვნის შემდეგ სოციალიზმის ფერადი ცისარტყელა გადაექნება განთავისუფლებულ კაცობრიობის განახლებული ცხოვრების კრიალა ცას...

აი ჩვენი მიზანი თანამედროვე რუსეთის რევოლიუციაში, და მიუხედავად ს.-დ.-ების „რეალური სიბრძნისა“, მათ მიერ ჩვენი უტოპისტებად მონათვლისა, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თვით რევოლიუციის დროს ამ გვარია გზეთისაკენ მისწრაფება, ცდა იდეალის განხორციელებისა ჰქმნის ყოველივეს, იმ მეორესაც კი, რომელსაც რევოლიუცია აღწევს,—წინააღმდეგ პროგრამმა მინიმუმისა, რომელიც რევოლიუციის წინ-და-წინ შეჩერება, დაღუპვა და შინაარსის გამოცდა.

ჩვენ ვიცით, რომ ყველა რევოლიუციების სული ამ დიადი მიზნის მიღწევაში გამოიხატება, ჩვენ ვიცით აგრეთვე რომ რაც მეტია ხალხის რევოლიუციონური შემოქმედება, მით მეტია ნაყოფი რევოლიუციისა,—და მიტომ ვეუბნებით მუშებს: წინ, მუდამ წინ, არ შეჩერდეთ, მუდამ გქონდესთ თვალი მიპყრობილი დიადი და ნათელი იდეალისაკენ, ნუ შეაჩერებთ წინ-და-წინვე რევოლიუციას, რადგანაც მისი შედეგი თვით ხალხის ენერგიისაგან არის დამოკიდებული; როდესაც დაიღალოთ, შეისვენეთ, და შემდეგ ახალი ძალით ისევ შეებრძოლეთ მტერს; ნუ ააშენებთ ისევ ძველს, თქვენივე ხელით დანგრეულ მონობას ისარგებლეთ ყოველთვის იმ წამით, როცა გამარჯვებული ხართ, სწორედ მაშინ გამოჩინეთ რაც შეგიძლიათ მეტი შემოქმედებითი ნიჭი, მეტი ახალი სული ჩაუდგით თქვენ მიერ შექმნილ ახალ დაწესებულებათ, თუ სულ ვერ განახორციელებთ თქვენი მუდმივი იდეალი,—გაცილებით მეტი ნაყოფი მაინც ექნება თქვენს რევოლიუციას, ვიდრე მაშინ, თუ წინდაწინვე შეგვიშინდათ თქვენი იდეალის განხორციელების, თქვენივე აზრის,—ან თუ წინდაწინვე გადასწყვიტეთ იმედი, რომ დღეს შეუძლებელია ნამდვილი რევოლიუცია ძველის დამხობა ახლის შემომქმედით!

ეს უკანასკნელი „მინიმუმია“, პირველი კი „ანარქიული უტოპია“,—ამოირჩიეთ (მუშებო)—რამოდენიმედ ამ არჩევნისაგანაც არის დამოკიდებული თქვენი გამარჯვება, გამარჯვება თვით რევოლიუციისა! რაც გითხარით,—ეს არის ჩვენი რწმენა, ამნაირი სოციალიზმი გვწამს, მას ვეტყვით, მას ვავრცელებთ ხალხში; ესა ჰკლავსთ სოციალ—დემოკრატებს, „მინიმუმის“ კაცებს, რომელთაც ტანში ჟრუანტელი გაუვლისთ ხოლმე, როდესაც გაბედავს ვინმე და იტყვის,—თანამედროვე რევოლიუციამ უნდა მოსპოს ყოველგვარი მონობა და ექსპლოატაცია! მაგრამ ჩვენ სინდისი წმინდა გვაქვს, ჩვენ ჩვენი იდეალით ვართ აღფრთოვანებული და სხვის აღფრთოვანებასაც ვსცდილობთ, ჩვენი სისხლით დავიცავთ მას, ჩვენ რევოლიუციაში მუშებთან ერთად ვიქნებით ქუჩაში, თოფითა და სხვა იარაღით ხელში, ჩვენ მუშებს დეპუტატობას არა ვსთხოვთ, რადგახაც არა გვაქვს მათი პატრონების პრეტენზია, არა გვაქვს იმდენი კადნიერება, რომ ხა... ვაბედნიეროთ საკანონმდებ... ბრძნით, ვსაჯოთ იმისთანა ... რომელზედაც არავითარი ... დგენა არა გვაქვს, როგორც ... სჩადიან ძ. ზ. დეპუტატები ... რული კითხვა, სწავლა—გან... ბის კითხვა, შეიარაღებისა და ... ნანსო კითხვა, და სხვათა ... —სულ ერთია მათთვის, ... არა იციან,—არახუნებენ ... თითქოს ყოვლის მცოდნე ... რომელიმე გატყაული ... რომელსაც კანონის სტატი... არა უყრია რა თავში, და სო... ზმის ქერქში გამოხვეული ... ცება მთელ მილიონ ხალხ... ვარ შენი კანონმდებელი, შენ... ტერესების დამცველი, შენი ... ბედნიერებელიო!—ჩვენ არა ... ამ გვარი კადნიერება, ... პრეტენზიები;—და ვისაც ... მძლავნელობა“, ვისაც ბატონ... „მინიმუმის“ კაცობა უნდა,—... ატყუონ მუშები! დრო მოვა, ... მუშები მათ ერთ დღეს გაისტ... ბენ—(„coup de pied ... le col“)-ით, როგორც ... ვე ჰქნეს საფრანგეთში და ... ხიაში,—ჩვენ კი მუდამ ... ხურებით ჩვენ მიერ დასახულ ... ალს, და ეს იდეალიც, ჩვენი ... რწმენით, მაშინ განხორციელ... როცა მუშა ნამდვილად შეიგ... რომ „მუშათა განთავისუფლება ... და მოხდეს თვით მუშათა ... და არა გაქლესილ ადვოკატ... და უსაქმო ინტელიგენტების ...

# ფელეტონი

—

**ზეციერი მთავრობა და მისი კანონმდებლობა.**

(გაგრძელება *)

II

ქურუმების, ღვთის ყველა მინისტრების შეგნებულ, ან შეუგნებელ ხრიკებს, ცბიერობას ზედ ემატებოდა ბუნების მოვლენათა მეტად ან ნაკლებად რეალური ცოდნა. ველურთა შორის არიან ისეთი ექიმები, რომლებმაც იციან ზოგ მცენარეთა ნამდვილი თვისება და არც გასაკვირველია ეს მათი ცოდნა, რადგან ზოგ ცხოველებმაც კი იციან ბალახების თვისება. რომის medicus.

ექიმი სხვათა შორის არჩევდა შელოცვით, ამ გვარივე ჩვეულებაა საქართველოში, რუსეთში და მრავალ სხვა ქალაქებშიც, რომლებიც თავის თავს განათლებულად სთვლიან; ამ გვარივე ჩვეულება აქვს მრავალ ველურ ხალხსაც. შემლოცველთა კასტამ, რომელიც შეგნებით ან განზრახ ისახავდა თავის თავს ყოვლად მცოდნედ, რომელმაც იცოდა არა თუ ხილული ქვეყნის ვითარება, არამედ არა ხილულისაც—„სულების“ ქვეყნის—ჩაბღუჯა ხელი ძლავრად ადამიანთა ფანტაზიას; ის ცდილობდა რაც შეიძლება მეტი ექსპლოატაცია მოეხდინა ადამიანთა სულის კვეთების ხადაგზე. შემლოცველთა კასტას ხელს უწყობდა არა თუ ადამიანის უვიცობა და სიმდიდრე მათი დარწმუნებისა, არამედ მისი ულმობელ სიკვდილისა, რომელიც ადამიანს სადღაც აქრობდა და გამოურკვევლობა, გამოუცნობელობა საიქიო ცხოვრებისა. ამას გარდა ეს ყოვლის მცოდნე ადამიანები ისევ თავის პროფესიამ ყმიხდახოიის და ყველაფრის მცოდნისა გახადა ხარბი სიმდიდრის და პრივილეგიისა. მათი სამსახური სოფლებით არ შეითხოვდა მრავალ ფასს სარწმუნეთაგან, რადგან ამ გვარი მცხება, რომლის ფასი სოფლებით არ არსებობდა პირველყოფილ ადამიანებში; ეს მცხება უფრო ახალ დროს ეკუთვნის მორწმუნე გამქვალული მეწყხარეულობის გრძნობით (чуство признательности)—გრძნობით, რომელიც აგრეთვე ცხოველთა თვისებასაც შეადგენს—არ ზოგვიდა საჩუქარს. ასხვერპლი რომელსაცველური, პირველყოფილი პირდაპირ სწირავდა კეთილ ან ბოროტ ღვთაებებს გახდა ქურუმთა მონოპოლიად, რადგან მათგან, როგორც ღვთაების წარმომადგენლებისგან უფრო მიიღებდა კეთილი ან მრისხანე ღვთაება. ღვთის წარმომადგენლებად გამხდარნი ცდილობენ დაესახათ მორწმუნეების თვალში მათ მიერ წარმოდგენილი ღმერთი რაც შეიძლება უფრო მრისხანედ და მეორის მძიებელ ღვთაებად, რის გამო მათი მფარველობა და შუამავლობა ღვთაებათა და კაცთა შორის უფრო და უფრო მეტ მსხვერპლს და საჩუქარს მოითხოვდა. შემლოცველები, ქურუმები და ექიმები გაძლიერდნენ, გაძლიერდნენ ღმერთებიც. ამ გვარად დროს და სივრცის გავლებით ქვემ ქურუმები ისე, როგორც ადამიანის უვიცობის, სიყვარულის და შიშის საყოფი ღმერთები უფრო და უფრო სისხლის მოყვარული და ხარბი შეიქმნენ. იქ სადაც ქურუმთა ღვაწლმა დაამყარა და გაამტკიცა სარწმუნოებრივი ცეროები, ალაგ კმაობდა ცოტა-ოდენი სისხლის დაკლული—საქირონდ შეიქმნა მთელი სისხლის ზღვა.

სახამ ღმერთის გამოგზავნილი ანგელოზი აბრაამის ხელს შეაჩერებდა, მანამ მრავალმა მამამ შესწირა სისხლით გაუმაძღარ ღმერთებს აბრაამისეული მსხვერპლი. ებრაელებმა შესწირეს იეგოვას „აღთქმული ქვეყნის“ ცხოვრე-ბნი მთელი ხალხი შესწირეს ქვე... საბერძნეთის ღმერთი ზევსი ... დურად დაბრძანებულა თავის ... ებრივ ტახტზე და გულ-და... სული უცქერის ახეიელებ... ტოროახელლებთა საურთიერთო ... ცურ ელეტა-ბოლავს. სახამ ... ღმერთების ტახტი, ყველა სუ... თავრობათა, რელიგიათა ... კი, ყველა მიწიერ მთავრობათა ... ლობათა (властей) ტახტი და ... გადოების მთავრობათა სისხლი ... დაიქცევა თავლალმა, მანამ ... ლით გაუმაძღრულ შეწირული ... დური ადამიანთა მოდგმის—... ბიობას არა ეშველება-რა.

* *

მრავალი ხალხი თავის რელიგ... ზურ ევოლიუციაში არ გასცდ... ბის ფეტიშიზმს, ზოგი მეჩე... ლია ნატურიზმზე, ზოგი ანიმი... და ზოგიც პანტეიზმზე, მაგრამ ... იერარქია, რომელსაც სამართ... ნად არ უსამართლოდ ხედვე... ბუნებრივ მოქმედ ძალებში ... არსი იყო „სულების“, ღვთა... თა იერარქიის. მიუხედავად ... ზოგიერთ ხალხში ეს იერარქი... წმიდა არქია—რომელიც ხაყ... იყო არქიული შეხედულების, ... ული ურთიერთობის მოვლენა... შორის, არ გადაქცეულა სულ...

*) იხილე გაზ. «მუშა», № 14.

რომელთა დეპუტატებად წამოჭიმვა დაამყარებს ვითომც კაცთა შორის ბედნიერებას. ამგვარი მურტალი ამსურდი დაე ს.-დ—ებმა იქადაგონ, ჩვენ კი, მუშებო, კიდევ განვიმეორებთ: თქვენი საკუთარი ორგანიზაციები, თქვენი საკუთარი სოციალისტური შეგნება, თქვენი საკუთარი გონება ღ შემოქმედება, თქვენი საკუთარი ბრძოლა, ბრძოლა დაუღალავი და შეუბრალებელი ყოველ ბატონპატრონთა, მძარცველ-მგლეჯელთა და ყოველი ჯურის მატყუართა წინააღმდეგ,—აი რა გიხსნისთ; აი რა განგათავისუფლებსთ, აი რამ უნდა გიწინამძღოლოსთ თანამედროვე რევოლიუციაში, ძველის დანგრევაში და ახლის აშენებაში; თუ ეხლა ვერა ჰხედავთ ამ სიტყვების სიმართლეს,—შემდეგ დაინახავთ, როდესაც თქვენი ხელმძღვანელების „მინიმუმის“ განხორციელების შემდეგ ისევ მონებად იგრძნობთ თავს, როდესაც ეხლანდელსავით დაგყრიან ტყვიებით განგმირულებს თქვენი მომავალი რესპუბლიკის ჟანდარმები და მილიცია (თუ კი ეს მილიცია შესაძლებელია ქკვიან ს. დ-თა ცენტრალურ რესპუბლიკაში).

ნუ დაგვემდურებით, მუშებო, თუ ეს სიმართლე თქვენც და თქვენს წინამძღოლთაც ვახალეთ პირდაპირ. ნუ დაგვემდურებით, რადგანაც,—როგორც არ გითხარით,—ჩვენ მხოლოდ სიმართლე გვალაპარაკებს და თქვენთან სათხოვარი არა გვაქვს-რა, გარდა თქვენივე შეგნებისა და ამ შეგნებით მთელი კაცობრიობის განთავისუფლებისა, ეს განთავისუფლება ჩვენი იდეალიც, არის, ჩვენც ვილებთ მონაწილეობას ამ დიდ საქმეში, მაგრამ არა თქვენი ბატონობით, არამედ თქვენთან ერთად, თქვენ გვერდში ამოდგომილნი;—მიტომ ვებრძვით ს. დ-ებს, რომლებიც იეზუიტების ორდენივით, ახალი თვითმყრობელობასავით მოევლინა ხალხის აზრსა და მოქმედებას და ლამის არის მათზედ უარესი საზიზღარიც შეიქმნეს, განსაკუთრებით ჩვენს დღეშში.

—

P. S. გინება არც ჩვენთვის არის სასიამოვნო მაგრამ ს. დ-ბმა დაიწყეს,—ჩვენი ბრალი არ არის.

„მუშის“ სახელის გამოცვლა სისულელეა, და მაკვირვებს, როგორ შეგვაცდინათ ს. დ-მა და თქვენც ამისთანა სისულელე ჩაგიდენიათ. რატომ „მშაკის“ რედაქციას არ მიმართავთ იმავე თხოვნით, ამ მართლაც და ბურჟუებს? ჩვენი „ჯაშუშობა“ და „პოლიციისგან ფულის მიღება—გაუთხოვარი ბებრის მყრალი გულის ამონახეთქი ნაღველი და მუშებს არ ეკადრებათ ს. დ-ების ამგვარი სიმყრალის სუნი აიდინონ.

მუქარის ჩვენ არ გვეშინიან.

შემდეგ თქვენთან ლაპარაკი არასოდეს არ მომწყინდება.

Bâton.

# ახალი ამბავი

—

სამხედრო სასამართლოს განაჩენი: როგორც ვიცით 27 მინგრელსკი პოლკის სალდათები იყვნენ მიცემული სამხედრო სამართალში. საქმის გარჩევამ 22—25 ივნისამდე გასტანა. 25 ივნისს 7 ნახევარ საათზე გამოიტანეს შემდეგი განაჩენი: 1) მედვედევს, ანზაშინს, პერევერზინს სამი წლით დისციპლინარული ბატალიონი მიუსაჯეს. 2) ანაშტეინს და სპორნის 2 წლით, 3) სოკოვს და ოკოევს ერთი წლით იგივე ბატალიონი, 4) ივანჩენკოს და ნიკიფოროვს—6 თვით სამხედრო სატუსაღო, 5) მინეევს ველტოვს, კობალაძე და გრიგორიევს—ოცი დღით მკაცრად დატყვევება, 6) ბაგაევი, კოტუნი, ვილერი ბოლკრ, გურტოვოი, ლინკინი, გრეენოვსკი, მანუკოვი და რეზცოვი გაამართლეს ეს სულ 22 გაასამართლეს დანარჩენთაგან ერთიც გაქცეულია და 4 საქმეც ავადმყოფობის გამო ჯერ არ გაურჩევიათ.

— რკინის გზის სადგურზე 25 ივნისს დილის 10 საათზე რევოლვერით დასჭრეს ობერ-კონდუკტორი მიხაილოვი. მიზეზათ მიხაილოვს ჯაშუშათ ასახელებენ.

— 27 ივნისს გაიხსნა კიროჩნი ქუჩაზე ამას წინათ დაბეჭრილი გადელიას წიგნის მაღაზია. უდანაშაულოთ პატრონი დაჭედილი ხუთი დღის დაპატიმრების შემდეგ გამოუშვეს.

— კიდევ ახალი განკარგულება რკინის გზის უფროსისა გაფიცვების გამო. ნეიგებაუერი აცხადებს, რომ როგორც გამოძიებამ დაამტკიცა თბილისის ორთქლმავალის ბრიგადები იმდენათ დანაშაულნი არ ყოფილან გაფიცვებში მონაწილეობისათვის, რამდენათაც სულმოკლეობა გამოუჩენიათ. ამის გამო, ნებას ვაძლევ მუშაობას შეუდგენ 26 ივნისი 12 საათიდან 27 ივნ. 12 საათამდე; ვინც არ მოვა ამ დროში სამუშაოზე თუნდაც ნარიადში არ იქნენ დანიშნული მაინც, დათხოვნილი იქმნებიან. ხოლო რკინის გზის წესების დარღვევისათვის გადავახდევინებ დისციპლინარულ ჯარიმებს, რაზედაც კერძოთ გზებზე ბრძანებებში ვაუწყებო.

— რკინის გზის მიმოსვლის უფროსმაც მიიღო უკან დათხოვნილი კონდუქტორები, მეისრეები, ვაგონების გადამბძელები და შემადგენლები, რომელნიც 26 ივნისიდან უკვე შეუდგენ მუშაობას.

— როგორც კოჯორიდან გვატყობინებენ ამოსულმა ყაზახებმა 25 ივნისს ღამეს შიშის თავზარი დასცეს ხალხს. ჯერ დათვრენ და აკლებას უპირებდენ მედუქნეს, ხოლო შემდეგ ღამის ორი საათითან 4 საათამდე განუწყვეტლივ ისროდნენ მათ შეუერთდა ბ. ადგილობრივი ბოქაულიც, რამაც ისედაც თავგასული ყაზახები ერთი ორათ გაამხნევა.

— 25 ივნისიდან გამოვიდა ახალი

---

მონარქიათ, ე. ი. ღვთაებათა იერარქია არ გაერთიანებულა და არ გადაქცეულა, არ ჩამოსხმულა ერთად ერთი ღმერთის წარმოდგენად, თუ ამ გვარი წარმოდგენა შეიძლება. ზოგი ხალხი კი მივიდა ერთი ღმერთის სარწმუნოებამდი.

ებრაელებს ისე როგორც სხვა ხალხებს მთელი ბუნება წარმოდგენილი ჰქონდათ, როგორც „სულებით დასახლებული. ებრაელებისთვის ისე, როგორც ბაბილონელებისთვის ცის ვარსკვლავნი და მნათობნი სცხოვრობდნენ ცოცხალ არსებათა ცხოვრებით, იცქირებოდენ ციდან დედამიწაზე და მართვიდნენ ბედს ხალხების და ადამიანებისას. ცდომილნი ვარსკვლავები, რომელნიც უძრავო ვარსკვლავებთა შორის დანტალობდენ, იყვნენ მიჩნეული უძრაოდ მიჩნეულ ვარსკვლავების მწყემსებად—მათ უფრო მატივს, თაყვანს სცემდენ. ყველა ციურ მნათობთაგან ყველაზე მეტად პატივცემული და თაყვანცემული იყვნენ მზე და მთვარე, რადგან ისინი მათი აზრით მართვიდნენ ყველა მნათობთა, ვარსკვლავთა მოძრაობას. იერარხია, რომელსაც ამ გვარად ხედვიდნენ ებრაელები ციურ მნათობთა შორის არსებობდა აგრეთვე მათთვის ყველა ბუნებრივ მოვლენათა შორის. ციურ მნათობთა იერარქიის მსგავსად ყველა მიწიერი და ზეციერი სულები იერარქიულად იყვნენ დალაგებულნი—ისინი გაერთიანებული იყვნენ უთვალავ „სულთა“, ღმერთების ერთ მხედრობათ — „ელოგიმ“. ბაბილონელების წარმოდგენაში მათი უსხეულო „სულები“ დალაგებული იყო ხარისხებათ, რასაც პირამიდების ზეცისკენ აღმავალი საფეხურები გამოხატავდა. სემიტიურ ღვთაებათა კრებული, რომელიც გამოიხატება სიტყვა „ელოგიზმში“, ე. ი. „სულები“, კიდევ უფრო გამოხატულია სიტყვა „ცებაოტ“-ში (cabao) რაც „მხედრობას“, „რიგს“, „წყობას“ ნიშნავს. როგორც სულები ელოგიმი, ისე სულები ცებაოტი იერარქიულად იყვნენ დალაგებულნი, ორ კრებულად; ეს კრებული ძლიერ დაახლოვებულია ერთი ღმერთიანობასთან, ისინი თავის გაერთიანებაში მიისწრაფოდენ ერთ პიროვან ღვთაებად გადაქცევისკენ. ებრაელები სიტყვა „ელოგიმ“-ის მრავლობითი რიცხვის მაგიერ მხოლობითი რიცხვს — ელ—ხმარობდენ და მიუხედავათ ამისა ეს სიტყვა გულისხმობდა უხილავ ქვეყნის ყველა „სულებს“ და „ძალებს“. ამ რიგად იტკეპნებოდა ის გზა, რომელზედაც უნდა მოვლინებოდა გასათახსირებლად ისედაც გათახსირებულ კაცობრიობას ის ნაყოფი გონებრივი გალლიუცინაცისა, რომელსაც დაერქვა „ერთი ღმერთი“, რომელიც თავის ერთად ერთ უმძლავრეს სურვილში აერთიანებს ყველა სხვა ღვთაებათა ძალებს, სურვილებს. მრავალ „ძალ“-თა იერარქიაშ წარმოშვა ერთის არსია. ებრაელები მეომარი ხალხი იყო და მუდამ იბრძოდა ტერიტორიალური გაერთიანებისათვის, კონცენტრაციისათვის.

ვინაიდგან მეომარი ხალხი მიწისთვინ და მიწაზე, ებრაელებმა ცაზეც მხედრობათა ღმერთი გაიჩინეს. ეს ღმერთი ისეთი ულმობელი იყო ზეცაზე, როგორც ებრაელები მიწაზე; მეომარი ღმერთი და მის თაყვანისმცემელი მეომარი ხალხი მოკავშირეები იყვნენ.

ღმერთი მათ იფარავდა და ულმობელი იყო მათი მტერებისთვის —ისინი ღმერთს უკიდურესად ადიდებდენ. იეგოვე (Iегова), როგორც სჩანს ადგილობრივი ღმერთი იყო, შემდეგ კი იეგოვა გაღმერთებულ ებრაელ ხალხს წარმოადგენდა და მაშასადამე ებრაელებისაგან მისი თაყვანისცემა თავის თავის თაყვანისცემა იყო, ბუნებრივია ამიტომ ებრაელების მიერ მისი სიმძლავრის გაზვიადება, რადგან ეს მათივე ხალხოსნობის გამძლავრებას წარმოადგენდა.

ებრაელების მეომარი ღმერთი, რომლის დანიშნულება შესდგებოდა პაწაწკინა ხალხის პაწაწკინა ტერიტორიის გავრცელების უზარ-მაზარ მადაში თანდათან მედიდური ხდებოდა, თანდათან მაღლა-მაღლა მიდიოდა, თანდათან ვრცელდებოდა მიწაზე მისი მეუფება, მაგრამ მატებას ხშირად კლება მოსდევს. ებრაელებმა ყველა შეიძულეს გარდა თავისი „ღვთისაგან რჩეული ხალხისა“, სამაგიეროდ ებრაელები ყველამ შეიძულა: ებრაელები ყველას ეომებიან და ჟლეტენ მოავიტიელებს, ამალიკიტიელებს, ფილისტიმლიელებს, იდუმეილებს, მაგრამ თავის დროზე ებოაელებსაც აოხრებენ სწყვეტენ, ატყვევებენ, ასახლებენ.

ისინი აღარ ემუდარებიან მეომარ ღვთაებას, თავიანთ, „რისხვის და სიმკაცრის ღმერთს?“. ისინი იქმნენ ძლეული, დაბეჩავებული, დათურგნული თავიანთ ღმერთის და თავის ზვიადობაში, ამიტომ მათთვინ მანუგეშებელი, ყოვლად მოწყალე და შებრალე ღმეოთი შეიქმნა საჭირო, აღარ ეძებენ ხმალს, არამედ

ყოველ კვირეული გაზეთი „გლეხის“ გაზეთი როგორც სახელი უჩვენებს ემსახურება გლეხის და საერთო მუშა ხალხის ინტერესებს. პირველი ნომერი „გლეხისა“ მწყობრათ არის შედგენილი. წერილები დღევანდელ საჭირ ვარამო თემებზეა. დაწვრილებით დავახასიათებთ გაზეთს, როდესაც გამოვა შემდეგი ნომრებიც.

— თბილისის გენერალ-გუბენატორმა ტიმოფეევმა გააკრა განცხადება ქალაქში, სადაც აცხადებს, რომ მან დააჯარიმა ყველა გაფიცული მედუქნები, თითოული 200 მანეთ. დაწყებული 5 მანეთამდე.

# რუსეთის ქრონიკა

—

13 ივნისს ქალაქ პენზაში. დაბანაკებულს ჯარში, ორსოვაისკის და ინსარსკის პოლკში მოხდა არეულობა. უსიამოვნება გამოიწვია პოლკის უფროსის ბრძანებამ, რომ 50 ნაბიჯის ლაგერის იქით არსად არ წასულიყვნენ რის გულისათვისაც 50 ნაბიჯის იქით დაურჭეს პალოები. ჯარის კაცებმა ამოაძრეს პალოები და წარუდგინეს შემდეგი მოთხოვნილებანი. იარონ არა—ვარჯიშობის დროს, სადაცა სურთ, არ ამუშაონ კვირა-უქმე დღეებში მთელს სალამოს. გაისმოდა, ყვირილი, ვაშა, ძირს და სტვენა.

—

კურსკის ადმინისტრაცია ძლიერ გაჭირვებულს მდგომარეობაში ჩავარდნილა, რადგანაც ყაზახები არ ჰყოფნის მაზრებში. კურსკში კი რომელნიც დგანან, მისი გაგზავნა არ შეიძლება, რადგანაც ეტყობათ მღელვარება. არც ჯარებშია სიმშვიდე, ხმები დადის რომ მოხდება ჯარების ხელ-მეორედ საერთო გაფიცვა, რომელშიაც მიიღებს მონაწილეობას მთელი გარნიზონი. ჯერ პირველად გაანთავისუფლებენ ციხიდან გლეხებს, რომელნიც აგრარულ მოძრაობაში იღებდნენ მონაწილეობას.

—

მელიტოპოლის ციხეში მომხდარა არეულობა, როგორც გადმოგვცემს „ჟიზნ. კრიმა“ მთელი დღე 12 ივნის, დილიდგან დაწყობილი სალამომდე, ციხიდგან გაისმოდა საშინელი ყვირილი. ყვირილი ისეთი ძლიერი იყო რომ მოისმოდა თვით ქალაქში, (ციხე ქალაქ გარეთაა).

—

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიუვიდა ცნობა პერმის გუბერნატორისაგან ძრიელი მღელვარების შესახებ მუშებისა ურალზე. მუშები კერძო ქარხნები როგორც ნ.—ტაგილისა (დემიდოვის საკუთრება). კნ. სანდონატისა, ტეპლოვგორისა (გრ. შუვალოვის საკუთრება), ბილიმბაევისა (გრ. სტროგანოვის საკუთრება), ნევიო-ალაპაევისა. (ს. ა. იაკოვლევისა) და სხვ. ისაკუთრებენ მიწებს, რომელნიც ხაზინას და კერძო პირებს ეკუთვნით და სახნავ მიწათ აქცევენ. (მოსკ.).

—

სამხედრო სამინისტრო უკანასკნელ დრომდე ყურადღებას არ აქცევდა იმ ხმებს და ცნობებს, რომელსაც გაზეთები იუწყებოდნენ ხოლმე სალდათების „სამხედრო კავშირის“ არსებობის შესახებ. დღეს ვილნაში მესამე კორპუსში არმიისა გაჩხრეკის დროს აღმოაჩინეს ბეჭედი „სამხედრო კავშირისა“ სამხედრო სამინისტროს განკარგულებით ყველა ჯარის ნაწილში სასტიკი გამოძიება ხდება, თუ რომელიმე ჯარის კაცი ეკუთვნის ამ ,,სამხედრო კავშირს‘‘. საიდუმლო ბრძანებაა, მოახდინონ გამოძიება აგრეთვე სხვა კორპუსებში, რათა აღმოაჩინონ ის შტოები, რომელიც გაიდვა, სამხედრო კავშირმა ამათში.

ფიქრობდენ, რომ ზოგიერთი დაპატიმრებული ,,სამხედრო კავშირის‘‘ წევრთაგანი გამოტყდენ და შეღავათის დაპირების გამო იმათ გასცეს ზოგიერთი ამხანაგი.

(მისლ.)

# უცხოეთი.

—

რომის გაზეთის „Information“ კორესპონდენტი იუწყება, რომ ხმები საერთაშორისო ზომების მიღების შესახებ ანარქისტების წინააღმდეგ, ხელახლად ვრცელდება რომში. მოლაპარაკებაა სხვადასხვა ევროპიულ სახელმწიფოთა შორის, ანტიანარქისტულ კონფერენციის მოწვევაზე; მართალია, ვერაფერი ვერ მოახერხეს, ინგლისის მიერ გამოწვეულ პროტესტის გამო, მაგრამ ეს მოუხერხებლობა ვერ შეაფერხებს ზოგ სახელმწიფოებს ევროპისას, რომელნიც გაბმულნი არიან სხვადასხვა წყაროების მონახვაში; რითიც შეეძველებოდეთ ბრძოლა ანარქისტულ გამანადგურებელ მოძღვრებასთან.

# დეპეშები

(პეტერბურგის სააგენტო დეპეშები).

—

**უმანი.** ნერუბაიკში, არეულობის ჩაქრობაში, მოკლულ იქმნა 2 გლეხი და რამდენიმე დაჭრილია მელიტოპოლი. დრეიფუსის ნოქარს, 8 შეიარაღებულმა მოსტაცეს 3500 მანეთი.

**ბუდაპეშტი.** ავსტრო-ვენგრიამ დაჰკეტა სერბიის საზღვარი.

**პოლტავა.** თავად კოჩუბეის მამულს ხელ მეორედ წაეკიდა—ცეცხლი.

**ბაქო.** უცნობებმა მოჰკლეს რევოლვერით პოლიცმეისტრის თანაშემწე. მკვლელი მიიმალა.

**ბაქო.** „კასპის“ რედაქციაში ... ტანეს ბუმაჟნიკი ქაღალდებით ... კუმენტებით 12 ათას მანათ. ... ქისტები თხოულობენ რომ ... დები გადაეცეს დამკარგავს, ... მაჟნიკიდგან კი აღებულია მხ... ფული 1242 მანეთი.

**ვარშავა.** 5 უცნობმა გაცარცეს სახლის მართველი, ... 750 მანეთი, და მერე შეუვ... სახლის პატრონს, მოიტაცეს ... მანეთამდე და მიიმალნენ.

**მოგილევი.**—პოდოლისა: სოვსკის მამულში დაიწყო აგრა... მოძრაობა. გაგზავნილ იქმნა ... ჯები.

**ბრესტ-ლიტოვსკი.** ტ... ნიცში შეტაკება მოხდა გლეხ... მემამულის ადგილთა მყიდ... შორის. გაგზავნილია დრაგუნ...

**ბახმუტი.** იუზოვკაში დაჭე... 30 ყაზახიდგან 10 გაანთავისუ... გუშინ, 11 კი გაგზავნილია ბ... ტში და ისინიც გაანთავისუ... დღეს.

**მანჩესტერი.** მანჩესტერის ... მდებარე საეკლესიო მიწა ჩა... ხელში უსაქმოდ დარჩენილმა ... ბმა. ასე თორმეტმა კაცმა სა... მომქმედო იარაღებით დაანგრ... დგომი და მიჰყო ხელი ხვნა ... ჯგუფის მეთაურმა აუხსნა, რომ ... პოლიცია ეცდება მათ გაყრას ...ააშენებენ ბარიკადებს და ... გააგრძელებენ მიწის ხელში ... ბას სანამ მანჩესტერის უს... დარჩენილი მუშები არ და... ფილდებიან; მიწას კი არამც ... არამც არ დაანებებენ. თუ როგო... მე გამოელიათ საჭმელი მემამ... ბის ბელლებს ჩაიგდებენ ხელ...

რედაქტორ-გამომცემელი

მიხეილ დიასამ...

# ახალი წიგნები

გამოვიდა ამ დღეებში და იყიდ... გაზ. „მუშის“ რედაქციაში:

1) მუშათა კავშირები და მათი მნიშვნელობა. სინდიკალიზმ... პ. ორგეიანისა, გამოცემა „კო... მუნისა“ . . . . . ფასი 20

2) კომმუნიზმი და ანარქია. პ. კროპოტკინისა, გამოცემა „ნობათისა“ . . . . . . ფ. 15

3) საერთო გაფიცვის მეორე დღე, ა. ბურშესი, გამოცემა „ნობათისა“ . . . . . ფ. 10

4) მეამბოხის სიტყვები გამოც... ,,ინტერნაციონალისა‘‘. . ფ. ...

სამართალს. ამ გვარად დამცირებული აწმყოში ეძებენ გამარჯვების და ბედნიერების ოცნებას მომავალში. უბედურებამ დაუმსხვრია ძველი სათაყვანებელი კერპი, მაგრამ ამავე დროს მიანიჭა ახალი უფრო დიადი მფარველი—გულკეთილი, სამართლიანი, ყოველგან მყოფი ღმერთი, რომელსაც განადგურებული, დამცირებული და უიმედობაში ჩავარდნილი ებრაელი ხალხი პირდაპირ მიმართავს, რადგან მეფეებმა, ქურუმებმა და მხედართ-მთავარება დაკარგეს ხალხის ნდობა. მათი პირდაპირი ურთი-ერთობა ღმერთთან იქამდი მივიდა, რომ გაჩნდნენ „წინასწარმეტყველები, ფანატიკოსები, გიჟები, მწყემსები იწყებენ წინასწარმეტყველებას; ლაპარაკობენ ღვთის სახელით და ღვთის მაგიერად, ე. ი. ღმერთი ლაპარაკობს მათი პირით. ისინი აღარ დასდევდნენ ქურუმების დამყარებულ წესებს, მეფეების ნებართვით; მათი სოციალური მდგომარეობა ყოვლად აუტანელი, მათი ხალხოსნობა დაჩაგრულია და თვით დამონებული არიან, დაებადათ ის სოციალური კითხვა, რომელსაც დღეს სოციალიზმი ჰქვია; მას შემდეგ 20 საუკუნეა, მაგრამ ეს კითხვა ჩვენთვისაც არ არის გადაწყვეტილი. განსხვავება იმაში, რომ ებრაელებმა არ იცოდენ ინტერ ნაციონალის ლოზუნგი, იმათ არ იცოდენ, რომ დაჩაგრულთა განთავისუფლება ისევ დაჩაგრულთა საქმეა ისინი ღმერთისგან მოელოდენ ხსნას, ჩვენ კი ვიცით, რომ ჩაგრულთა თავისუფლება ჩაგრულთავე ხელით უნდა გაიჭედოს, რომ ხსნა არც ღმერთშია, არც ბატონში, თუმცაღა დღესაც არიან ისეთი ჩაგრულნი, რომლებიც თუ ღმერთიდგან არა ბატონიდგან—სახელმწიფოდგან მაინც მოელიან ხსნას, თავისუფლებას. ებრაელებმა დაჰკარგეს სამშობლო, გაიბნენ ქვეყნის ყველა კუთხეში, წაიღ-წამოიღეს თავიანთი ღმერთი ყოველგან. წინასწარმეტყველები წინ-წინ ხედავენ, რომ მათი ერთი ღმერთი მოედობა მთელ ქვეყანას.

ამ გვარად დრო და სივრცის გავლენით ებრაელებმა შესძლეს გაერთიანება ყველა ღმერთების—მფარველ, მხსნელ, შემქნელ—ერთ ღმერთად: დამყარდა მონოთეიზმი.

ალი.

ელექტრონის სტამბა მიხეილ ექვთიმეს-ძე ხელაძისა, სოლოლაკი, პასკევიჩის ქუჩა სახ. № 3.